

საქართველო

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
დ ე ლ ო Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 140 (1310) 30 იანვარი, 28 ნოემბერი, 1958 წ. გამომცემის მე-15 წელი. ფასი 30 კპ.

თავისუფალ ჭილაობაში დაკარგული პროფიციები უნდა დავიბრუნოთ

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ჩატარდა საქავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭილაობაში. მაშინ ჩვენ ნათლად დავინახეთ, თურა საუნჯის პატრონი ვიყავით სპორტის ამ სახეობაში. ვნახეთ და გული სიხარულით აგვევსო. საქართველოს პირველი გულბრუნვა ცირკის თაღქვეშ და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჩემპიონები. წლები გადიოდა და საუკეთესოთა სიებს არ სცილდებოდა საქართველოს ფალავანთა გვარები, ხშირად ვიღებდით გუნდურ პირველობას და ჩვენი რესპუბლიკა მთელ კავშირში ცნობილი იყო როგორც მაღალტექნიკურ მოჭიდავეთა კერა. შემდეგ ფეხი შევდგით მსოფლიო სარბიულზეც და იქაც ვთქვით ჩვენი სიტყვა.

ნი გუნდის ხელმძღვანელობამ კიდროულად არ იზრუნა სპორტსმენთა აკლიმატიზაციისათვის და სხვ. მაგრამ შემოჩამოთვლილი არგუმენტები მხოლოდ ამ პერიოდს ეხება. ისე კი თავისუფალ ჭილაობაში მიმდინარე წლის ჩავარდნას თავისი ღრმა ფესვები აქვს. ვიდრე ჩვენ გავიძახდით „ჭილაობაში ტოლი არა გვეყავს“, მოძვერეს რესპუბლიკების მწვრთნელები დეტალურად სწავლობდნენ იმ ფანდებს, რომლითაც ჩვენ ვიმარჯვებდით, სწავლობდნენ ქართული ჭილაობის ილეთებს — კისრულს, მოგვერდს, შუაყურს, გარეყურს, სარმას და ა. შ. ახლა უკვე ჭილაობა და მოგება გაიწეა. ამასი ყველა დაგრწუნებდით, როცა ჩვენი თვალთ ვიხილეთ, თუ როგორ ოსტატურად იყენებენ უკრაინელები, რუსები, სომხები, ლატვიელები და სხვანი იმ ფანდებს, რომლებიც ერთ დროს მხოლოდ ჩვენს საქუთრებას წარმოადგენდა. ამას ყველა გრძნობდა, პირველ რიგში თვით მოჭიდავეები. ამიტომ საქირო იყო ტექნიკაზე მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება და ახალი რეზერვების ძებნა.

ზე, აღარ კადრულობს საქალაქო პირველობაზე გამოვიდეს და თავისი ძირითადი კოლექტივის სახელი დაიცვას. შეიძლება ისეც იყო მწვრთნელთა დეზორიენტაციის მიზეზი. ისინი საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ვერ ხედავენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ყველა წევრს, ხოლო შეკრებიანთვის გამოყოფილი მცირე დრო საკმარისი არ არის სპორტსმენთა ყოველმხრივი შეფასებისა და გუნდის დაკომპლექტებისათვის.

დედაქალაქში 15 საჭიდაო სარბილეა. აქედან ყველაზე კეთილმოწყობილი თბილისის კომიტეტის საჭიდაო დარბაზია და ამიტომ ყველა მას ეტანება. აქ მეცადინეობს 10 ჯგუფი. ეს მისი ნიშნავს, რომ თვითუღო ხალხი შეხანდახან ერთდროულად 6-7 წევრული ვარჯიშობს ხოლმე, რაც ყოველად დაუშვებელია, რატომ უნდა იყოს დაუტვირთავი დედაქალაქის 14 სარბილე, რატომ არ უნდა ზრუნავდნენ ამ ბავშვების დირექტორები მოჭიდავეთათვის ელემენტარული პირობების შექმნისათვის? სასიხარულოა, რომ რაიონებში ამ მიმართებით ამ ბოლო ხანებში მუშაობა გამოცოცხლდა, ხალხიც წამოიზარდა, მაგრამ მუშაობა არც აქ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად, რადგანაც ცუდად გვაქვს დაყენებული მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, დიდი ხანია არ მოგვიწვია სემინარები, ჭილაობის ტექნიკა კი სულ წინ მიდის.

ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანაა — შევინარჩუნოთ და გავზარდოთ პირველ სპარტაკიდაზე მოპოვებული შედეგები. მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ძალეები ამ საქმეს უნდა დავუქვემდებაროთ, ამიტომ, საქირო ახლავთ ამოცანათ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ მწვრთნელთა შორის არსებული არაკოლექტიური დამოკიდებულება.

მთელი ძალით უნდა ამოქმედდნენ თავისუფალი ჭილაობის რესპუბლიკური სექცია და სპორტული საზოგადოებები. მათ უნდა დააწესონ მკაცრი კონტროლი ნაკრებ გუნდის ყველა წევრზე.

როცა ვლადიმერ აკობთ თავისუფალ ჭილაობაზე, ერთი წუთითაც არ გვაყწუდება ქართული ჭილაობა, რადგან ამ ეროვნული სახეობიდან აღიზარდნენ ჩვენი ფალავნები და სრული იმედით უნდა ვიქონიოთ, რომ იგი კვლავაც მოგვემსახურება საიმედო ძალად.

მოიქმნება უნდა შევავსოთ არსებული მდგომარეობა და ხელახლა ჩაიკვირებულბა ვიმუშაოთ. დაკარგული სახელის დაბრუნების სრული შესაძლებლობა გვაქვს და მას აუცილებლად უნდა მივადწიოთ საქირო კავშირის ხალხთა II სპარტაკიდაზე.

დასაშალი არაფერია, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ფალავნებმა მრავალი ტიტული მოიპოვეს და მკერდი მელღებთ დაიშვენეს, ტექნიკის შემდგომ სრულყოფას შეუშვეს ხელი, სისტემატურად არ ვარჯიშობდნენ, უცდიდნენ მხოლოდ შეჯიბრების მოახლოებას, ე. ი. შეკრების დაწყებას, სადაც საქირო წინაზე 4-5 კილოგრამით მომატებულნი ცხადდებოდნენ, შეკრების შემდგომი რეპეტიციული ვალაში წონის ნორმალურად დაკლებას ვერ ასწრებდნენ და სარბიულზე არაქათგამოლეულნი გამოდიოდნენ. ზუსტად ასე მოხდა უკანასკნელი ჩემპიონატის წინაც.


რესპუბლიკურ კომიტეტში

პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიდაზე ამორალური მოქმედებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის კულტურისა და სპორტის კომიტეტმა აკრობატკაში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მოუხსნა და სპორტულ შეჯიბრებებში გამოსვლა საიუდაშოდ აუკრძალა ე. გ. ცირკიძეს.

თავისუფალ ჭილაობაში საქავშირო პირველობის თბილისში ჩატარების ცნობა სწრაფად გავრცელდა რესპუბლიკაში. ყველა მოუთმენლად ელოდა ამ ასპარეზობას და, რა დასამაღია, ჩვენი სახელგანთქმული ფალავნების ხილვას გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. მაგრამ მხოლოდინი არ გამართლდა... რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა სარბიულზე ვერ იხილეს ის, რასაც ასე გულმოდგინებით მოლოდინდნენ. გუნდური პირველობა წვაგეთ (დავიკავეთ მხოლოდ მესამე ადგილი), ხოლო სამი ან ოთხი ჩემპიონის მაგიერ, როგორც წინა წლებში გვეყავდა, მხოლოდ ერთი — გობეჯიშვილი (საშუალო წონა) შემოგვრჩა ხელში.

ეს ამბავი განსაკუთრებით სამწუხაროა ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიდაში დეარც ისე ბევრი დროა დარჩენილი და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ამ დიდი ღონისძიების პროგრამაში შემავალი ყველა სახეობა აღმავლობას განიცდიდეს. სწორედ ეს საკითხი განიხილა თავის სხდომაზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ცხოველი ანტერესი გამოიწვია, ზოგერთი მწვრთნელი ჩვენი დამარცხების მიზეზად შეკრების არასწორად ჩატარებას ასახელებდა (შეიძლება ეს მართალი იყოს), ზოგი კენჭისყრის უიღბლობას უჩიოდა (ეს მეტად ნაძებია), ზოგი კი უკმაყოფილო იყო, რომ წაგება დააბრალა... გუნდისათვის სათანადო ფორმის უქონლობას.

საქირო ფაქტს პირდაპირ შევხედეთ და მოურიდებლად აღვნიშნეთ ყველაფერი. გუნდის წვრთნას პირველ რიგში ხელი შეუშალა იმან, რომ შეკრებაზე მოჭიდავეები სრულიად მოუშვადებელი მოვიდნენ. დაბალი იყო სპორტული დისციპლინა. კანდელაკი, გაბარაევი და სხვებიც სათანადოდ არ იცავდნენ რეჟიმს. ყველა სათვის ცნობილი იყო, რომ შეჯიბრება და ცის ქვეშ ჩატარდებოდა, ჩვე-



სურათზე: რესპუბლიკის 1958 წლის ჩემპიონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი. (ზევიდან ქვევით) მარცხნივ — ც. აბუაშვილი, გ. ჭალაღანი, მ. გოგოლაძე, ლ. ნიკოფოროვა. მარჯვნივ — ე. ამირიანი, ე. ვაშაიძე, ლ. ყარანგოზოვა, ლ. გოგიაშვილი.



საქართველოს წარგზავნილთა პარტიები საერთო ყურადღების ცენტრშია.

ტი ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი), 21. საერთაშორისო ოსტატი ი. გურფინკელი (როსტოვი).

კარგად დაუწყეს ტურნირი საქართველოს წარგზავნილებმა. პირველსავე ტურში საერთო ყურადღება მათმა პარტიებმა მიიქციეს. ტოგონიძე შეხვდა გურფინკელს პარტიას უფრო საინტერესოს ხდიდა ის გარემოება, რომ ამ ციტა ხნის წინ თბილისი-დონის როსტოვის მატჩში ოსტატმა ორჯერ დამარცხა ტოგონიძე ამიტომ საქართველოს ჩემპიონმა გრძელი რიქის შემდეგ შეუტია მეფის ფრთას, შეწირა ხარისხი და საშამათო მუქარები შექმნა, გურფინკელი, რომელიც ამ დროს უკვე ცაიტნოტში იყო, ვერ გაერკვა მდგომარეობაში, წაავი ეტლი და დანებდა.

გაფრინდაშვილისა და ტიხომირაგას პარტიაში ყოველთვის უადრესად მწვავე ბრძოლები იმართებოდა. წინა შეხვედრებში უპირატესობა გაფრინდაშვილის მხარეს იყო (3,5:1,5). ახლაც განაღდა კომბინაციური შეტაკება. ქართველმა მოჭიდავემ პაიკის შეწირვით ძლიერი მუქარები შექმნა და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო.

კაკაბაძემ ახალინდურ დაცვაში შეუტია ბორისენკოს ლაზერის ფრთას. ოსტატი ჩინებულად იცავდა თავს და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმით აღინიშნა აგრეთვე როტარე-ვოლპერტის პარტია. არ დამთავრებულა ჩაიკოვსკაიას პარტია ფილანოვსკაიასთან, იგი შეეწყვეტილა საყაიმო პოზიციაში. გადაიდო დანარჩენი პარტიები,

ხარკოვი, (ჩვენი სტე. კორ.). 20 ნოემბერს სამშენებლო ტექნიკუმის კლუბში სახეიმიდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის მოჭიდავე ქალთა XX სპარტაკიადის ჩემპიონატი. სახეიმი ნაწილის შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. სატურნირო ცხრილში მონაწილენი ასე განაწილდნენ: 1. საერთაშორისო ოსტატი ი. ივანაძე (მოსკოვი), 2. მ. ტოგონიძე (თბილისი), 3. საერთაშორისო ოსტატი ს. როტარე (ტალინი), 4. საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 5. ტიხომირაგა (მოსკოვის ოლქი), 6. ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), 7. გ. მალინოვა (კიევი), 8. ტ. ფილანოვსკაია (სვერდლოვსკი), 9. ლ. იაიკო (კიევი), 10. თ. სტრანდსტრემი (მოსკოვი), 11. ლ. ნისენბომი (ოდესა), 12. საერთაშორისო ოსტატი ი. რუბინოვა (მოსკოვი), 13. საერთაშორისო ოსტატი კ. ზეორიანა (მინსკი), 14. ბ. გოიბენბერგი (კიშინიოვი), 15. ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი), 16. ა. კუშნირი (მოსკოვი), 17. მსოფლიო ჩემპიონი ე. ბაკოვა (მოსკოვი), 18. ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 19. ე. კაკაბაძე (თბილისი), 20. საერთაშორისო ოსტა-

კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად: სადაც პირველ ადგილზე გამოსული გუნდები იბრძობებიან ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის, მეორე ადგილზე გამოსული გუნდები — მესამე-მეოთხე ადგილებისათვის და ასე შემდეგ. ქალთა შორის პირველ ქვეჯგუფში გამოდიან: ქუთაისის, წულუკიძის, ჭიათურის, თბილისის „დინამოს“ და უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მეორე ქვეჯგუფში კი — ფიჭულთურის ინსტიტუტის, განათლების განყოფილების, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, გორისა და აფხაზეთის კოლექტივები.

ვათა პირველ ქვეჯგუფში თავმოყრილია: გორის, ფიჭულთურის ინსტიტუტის, განათლების განყოფილების, ქუთაისისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. მეორე ქვეჯგუფში გამოდიან: სამტრედია, წყალტუბო, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, აფხაზეთი და უნივერსიტეტი.

პირველი ორი ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და

უნივერსიტეტის სპორტსმენთა შორის. ანგარიში პირველ წუთზე გახსნეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, მაგრამ მესამე წუთზე იგი გაათანაბრა კაკაურიძემ. ამის შემდეგ უპირატესობა დიდხანს ხან ერთი გუნდის მხარეს იყო, ხან მეორის. დაახლოებით მე-16 წუთიდან წინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები გადიან, რომლებიც იგებენ ტაიშ — 37:24.

მეორე ნახევარში უპირატესობა დიდხანს მომავალ ინჟინერთა მხარეს იყო, რომლებმაც მიაღწიეს რა საგრძნობ განსხვავებას ანგარიშში, შეასუსტეს აგრესიულობა. ეს საბედისწერო შეცდომა გამოდგა. ინიციატივა ხელთ იგდეს უნივერსიტეტის კალათბურთელებმა და თანდათან გაათანაბრეს ანგარიში. თამაშის დამთავრებას წუთნახევარი აკლდა, როდესაც მოედანზე მეტად სამწუხარო კონფლიქტი მოხდა. პოლიტექნიკური



სპორტული პიკეტაჟი

ინსტიტუტის კალათბურთელმა ლ. მოსევილიმ შეუარაყვინა მიაყენა მოწინააღმდეგე გუნდის წევრს კ. ადივილის.

მოსევილი უკანასკნელ ხანებში სამართლიანად ჩაღდა ჩვენს წაყვან კალათბურთელთა რიგებში. მას რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა იცნობდა და იცნობს, როგორც თავმდაბალ სპორტსმენს, სწორედ ამიტომ საყოველ-

თაო გაკვირვება გამოიწვია მისმა საქციელმა. მაგრამ ფაქტს ვერსად გავიქვივით. ის კი მეტად სამარცხვინო და სამწუხაროა. მოსევილის საქციელი უნდა გახდეს პირველ რიგში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მსჯელობის საგანი.

...დარჩენილ დროში მომავალმა ინჟინრებმა შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და მოიპოვეს ძნელი გამარჯვება — 67:61.

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატის თამაშების ტექნიკური შედეგები. 20 ნომერები — ქალები: უნივერსიტეტი - წულუკიძე — 48:17, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-გორი — 70:33, აფხაზეთი-განათლების განყოფილება — 80:31, „დინამო“ (თბილისი)-ჭიათურა — 86:24, ვაჟები: უნივერსიტეტი-წყალტუბო — 101:40, ქუთაისი-განათლების განყოფილება — 59:41, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-აფხაზეთი — 89:58, „დინამო“ (თბი-

ლისი)-ფიჭულთურის ინსტიტუტი — 82:67.

21. ნომერები. ქალები: ქუთაისი-წულუკიძე — 57:35, წულუკიძის ინსტიტუტი-განათლების განყოფილება — 57:50, უნივერსიტეტი-ჭიათურა — 55:29, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-აფხაზეთი — 79:20, ვაჟები: სამტრედია-წყალტუბო — 60:31, ფიჭულთურის ინსტიტუტი-გორი — 78:42, „დინამო“ (თბილისი)-განათლების განყოფილება — 98:33.

გ. ანთია,
გ. ბუაზუვილი.

რატომ არ იყო შეჩივრება ავთორიტეტული

გასულ კვირას „დინამოს“ კორტზე დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა საშემოდგომო პირადი პირველობა ჩოგბურთში, თუმცა იგი დაიწყო და დამთავრდა ისე, რომ შეჯიბრებაში მონაწილეებსა და მსაჯებს გარდა ამ ღონისძიების შესახებ არავის შეუტყვიო. ასე იყო გასულ წლებში, ასე იყო ახლაც: ჯალაქის ვერც ერთ კუთხეში ვერ ნახავდით აფოსას ამ შეჯიბრების შესახებ მაშინ, როცა დებულუბაში ნათლად აღნიშნული, რომ მისი ერთ-ერთი მიზანია ჩოგბურთის პოპულარიზაცია მოსწავლეთა შორის. ესეც არ იყო, გაისად სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადზე სწორედ ამ მოსწავლეთა ნაწილს მოუხდებოდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა და ისინი რომ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ამას მოწმობს მათ მიერ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადზე მოპოვებული საპრიზო ადგილებიც.


რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, იგი საინტერესოდ ჩატარდა. მასში მონაწილე 140 სპორტსმენი დაყოფილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფად და თავის ასაკში გამარჯვებულ 4 მონაწილეს უფლება ეძლეოდა ეთამაშა თავისივე უფროსი ასაკში.

სასიხარულაა ის ფაქტი, რომ თუ დღემდე რესპუბლიკაში არა გვეყოლია ერთი ასაკის რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი ერთად, დღეს, როგორც შეჯიბრების მთავარ მსაჯთან მ. ქობალიასთან საუბარში გამოირკვა, ამ შეჯიბრებამ გამოავლინა 1946 წელს დაბადებული რამდენიმე ნიჭიერი გოგონა, რომლებიც 2-3 წლის შემდეგ წარმატებით დაცევენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. ესენი არიან: ა. ივანოვა, (მწვრთნელი მ. კლდიაშვილი), ნ. თუხარელი (მწვრთნელი ა. ხანგულაიანი), დ. რიახანოვა (მწვრთნელი ვ. სერგებრიანი), და მომდევნო ასაკიდან — ნ. რუხაძე (მწვრთნელი მ. ქობალია).

ვათა შორის ტექნიკური თამაშითა და აგრესიული სტილით გამოირჩეოდა ქაბუთა საერთაშორისო შეხვედრების პრიზიორი ნ. მინიარაშვილი, რომელიც 1943 წელს დაბადებული, მაგრამ სიძლიერის მიხედვით პირდაპირ იქნა ჩარიცხული უფროს ასაკში და აქაც წაუგებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა. მეორე ადგილზეა პ. მერტველი, რომელმაც წააგო მხოლოდ მინიარაშვილთან (ორივეს მწვრთნელია ა. ხანგულაიანი) და მესამეზე — გ. ახალია.

დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ჩემპიონები გახდნენ პერეგულოვი, სენჩუროვი და კაკულია.

გ. სამსონაძე



ფეხბურთის შედეგები

საიუბილეო ჟილდოზე

20 ნომებერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სამამულო ფეხბურთის 60 და მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირის მეორე მატჩი. თამაშობდნენ „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

უკვე თამაშის დასაწყისში ქუთაისელთა კართან შეიქმნა ორი მეტად სახიფათო მომენტი, მაგრამ ჭკაყურ ურუმამდე ზუსტად და დარწმუნებულად იმოქმედა და ორივეჯერ ხსნა გუნდი გოლისგან. მალე ამას მოჰყვა რკინიგზელთა საპასუხო მატჩი და მე-15 წუთზე დათუნაშვილმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

თამაში კარგა ხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შუამინდორზე ძნელი იყო რომელიმე გუნდის უპირატესობის გარკვევა, მაგრამ „ლოკომოტივის“ მცველები შეცდომებს უშვებდნენ კარის წინ. წინააღმდეგ ამის შედეგად იქნა გატანილი 2 ბურთი თბილისელთა მიერ და ორივე ახლო მანძილიდან (ტრექმელიძე, იაშვილი).

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა მცველებმა კვლავ დაუშვეს შეცდომა მოწინააღმდეგე თავდამსხმელთა პერსონალური აყვანისას და ურუმამ კვლავ მოუხდა ღიად დარჩენილ ფორვარდებთან ბრძოლა. ცერცვაძემ განმეორებითი დარტყმით გაიტანა მესამე ბურთი.

ქუთაისელთა იერიშებს დარჩენილ დროში შედეგი არ მოუტია, მათ ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა: სორიამ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო.

მატჩი მოიგო თბილისის „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით 3:1.

როსტოველები

ბალაჰვიდნა

„კლასი“

კლასი

ნალმდეგე კართან იქმნებოდა სახიფათო სიტუაცია, რომლის ლიკვიდაციისათვის სრული დატვირთვით მუშაობდა სვერდლოვსკის გუნდის ოთხივე მცველი.

ათორღე წუთის შემდეგ „სადებიუტო“ ნერვიულობამ მოთამაშეებს გადაუარა და მინდორზე გაჩაღდა უდრესად მწვავე ბრძოლა. ტერიტორიული უპირატესობის მოპოვების შემდეგ სვერდლოვსკელებმა ადგილების ცვლა იწყეს თავდასხმაში, რაშიც მათი მოწინააღმდეგე ხშირად ვერ ერეოდა. ამას დაემატა ისიც, რომ გეგზერი სუსტად ასრულებდა თავის ფუნქციებს მარცხენა ფლანგზე. სწორედ აქედან იქნა ზედინედ გარღვეული როსტოველთა დაცვა და 25-ე წუთზე ჩერემუშინმა ზუსტად მიაწოლა ბურთი კარის წინ, სადაც სრულიად თავისუფალი აღმოჩნდა გლადაკი. ნახევარტყემა მშვენიერად გახსნა ანგარიში — 1:0.

მარცხმა მეტი სითამაშე შეიტანა როსტოველთა თამაშში. ისინი არ ერიდებოდნენ იმასაც, რომ საჯარიმო ბურთების მიწოდებისას მოპირდაპირე კართან გაეჭყვინათ თავიანთი ცენტრალური მცველი ბოჩაროვი. სულ ცოტა ორჯერ მინც სვერდლოვსკის გუნდი ბეწვზე გადაარჩა გოლს (ჯერ ნორაკიძემ მოარტყა ბურთი ძელს, ხოლო შემდეგ ბოჩაროვმა ცარიელ კარში ვერ დაარტყა ზუსტად).

მეორე ტაიმი როსტოველებმა დაიწყეს შეტევით, რომელსაც მალე შეტურმის ხასიათი მიეცა, მაგრამ მამინ, როცა მთელი მათი ძალები გადასრული იყო იერიშზე, ბოჩაროვი ორჯერ სრულიად მარტო დარჩა მეკარის პირისპირ

დაჯილდოვების ვეტერანები

ვდან, უკრაინიდან, ლენინგრადიდან, აზერბაიჯანიდან, მოლდავეთიდან, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ვეტერანი ფეხბურთელები: ს. ელიავა, რ. პოლოსოვი, ი. დევდარიანი, შ. სობარულიძე, ბ. ვორონოვი, ა. გუნია, ე. ფრუიძე, გ. ჩხიკვაძე, ა. ფოჩხუა, ა. ხორავა, მ. თურქია.

სამამულო ფეხბურთის 60 და რესპუბლიკური მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიჭულთურისა და სპორტის კომიტეტმა სამასსოგრო სააქტიურობით დაჯილდოვა სტუმრები მოსკო-



საგარეო საზღვარი

ამას წინათ ამბროლაურის კულტურის სახლში მოეწყო ამბროლაურისა და ონის მოჭადრაკეთა ამხანაგური შეხვედრა. პირველი შეხვედრა დამთავრდა ამბროლაურელთა გამარჯვებით ანგარიშით 3,5:1,5. მეორე შეხვედრაში ასეთივე ანგარიშით გამარჯვებს ონელებმა.

რ. შივაშავიძე

სილნალი

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რაისაბჭომ მოაწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, ტყვიით სროლასა და ფრენბურთში.

მძლეოსნობაში კარგი შედეგები აჩვენეს რაიონის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებმა. სათანადო ნორმები შეასრულეს გ. ონიასვილიმ, გ. გოგისაშვილიმ, გ. ფარსადანოვმა და სხვ. ტყვიით სროლაში საერთო გუნდური გამარჯვება წილად ხვდა მედსან-შრომის პროფკავშირის გუნდს. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო შ. ბეჟანიშვილი. ფრენბურთში ტურნირი წაუგებლად ჩაატარა განათლების მუშაკთა გუნდმა.

ნ. მღვრიძე

ამას წინათ კაპრეთში ჩატარდა რაიონული საშემოდგომო სპორტკაიდა, რომელშიც 60 ფუნქულტურული მონაწილეობდა. სპორტკაიდას პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, ფრენბურთი და კალათბურთი.

მძლეოსნობაში საუკეთესოდ გამოვიდნენ კაპრეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები ვ. კველიაშვილი, ე. კუპრაშვილი, დ. ნანუაშვილი, ნ. ვარცი და სხვ. ფრენბურთელთა ტურნირში გამარჯვებს ყანდურის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ხოლო კალათბურთში — არაშენიდელებმა, საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ კაპრეთის საშუალო სკოლის სპორტსმენებს.

შეიღწილიან სკოლების მოსწავლეთა შორის გამარჯვებს ბოგდანოველებმა.

ნ. ჯიჰარაშვილი

თელავი

ამას წინათ თელავში მოეწყო თ. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის სპორტსმენთა მეგობრული შეხვედრა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ფარიატობა და მავიდის ჩოგბურთი.

ფრენბურთსა და მავიდის ჩოგბურთში გამარჯვება წილად ხვდათ თელავის სპორტსმენ ეკიპებს, ხოლო გოგონათა შორის — თბილისელებს. თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა აგრეთვე

კალათბურთში საკავშირო პირველობის გათამაშების კალენდარი

1959 წლის საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში იწყება მიმდინარე წლის 30 ნოემბერს და გასტანს მომავალი წლის პირილამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობს ეკიპა 12 და ქალთა ამდენივე გუნდი. თამაშები შედგება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, ერთ წრედ. შეჯიბრებაში უკანასკნელ ორ ადგილზე გამოსული კალაქები 1960 წელს მონაწილეობას მიიღებენ „ბ“ კლასის გუნდების ტურნირში.

მოგვყავს გათამაშების კალენდარი. ვაუჩები: 30 ნოემბერი — „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); 2 დეკემბერი — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „კალევი“ (ტალინი); 4 დეკემბერი — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „კალევი“ (ტალინი); 6 დეკემბერი — „ლეტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი); 7 დეკემბერი — „კალევი“ (ტალინი) — „დაუგავა“ (რიგა); 9 დეკემბერი — „კალევი“ (ტალინი) — სკო (რიგა); 11 დეკემბერი — „კალევი“ (ტალინი) — „ქალგირისი“ (კაუნასი); 12 დეკემბერი — „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 13 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ქალგირისი“ (კაუნასი); 14 დეკემბერი — ცსკო (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი); „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 15 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ქალგირისი“ (კაუნასი); 17 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — სკო (რიგა); „ქალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); 19 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი); 21 დეკემბერი — სკო (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); ცსკო (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი); „ქალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი); 23 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); 25 დეკემბერი — სკო (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); 27 დეკემბერი — „კალევი“ (ტალინი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); 29 დეკემბერი —

(ალმა-ატა); 29 დეკემბერი — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა); 31 დეკემბერი — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა).

ქალთა შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს სპორტსკოლის ფრენბურთელებმა. ვაუჩა შორის გამარჯვდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 30 დეკემბერი — „სკო ი მოლოტი“ (მოსკოვი); 11 დეკემბერი — „კალევი“ (ტარტუ) — „ქალგირისი“ (კაუნასი); 12 დეკემბერი — „სკო ი მოლოტი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი); 13 დეკემბერი — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — სკო (ლენინგრადი); „დაუგავა“ (რიგა) — „ქალგირისი“ (კაუნასი); 14 დეკემბერი — „სკო ი მოლოტი“ (მოსკოვი); 15 დეკემბერი — „დინამო“ (მოსკოვი) — „ქალგირისი“ (კაუნასი) — „ლეტი“ (ლენინგრადი); 16 დეკემბერი — „ტრული“ (მოსკოვი) — „სკო ი მოლოტი“ (მოსკოვი); 17 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ლეტი“ (ლენინგრადი); „ქალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); 19 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); „ქალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); 20 დეკემბერი — „ლეტი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 21 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — სკო (ლენინგრადი); „ქალგირისი“ (კაუნასი) — ოდესა; 22 დეკემბერი — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 23 დეკემბერი — „დაუგავა“ (რიგა) — ოდესა; 24 დეკემბერი — სკო (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 25 დეკემბერი — „კალევი“ (ტარტუ) — ოდესა; 27 დეკემბერი — ში (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 28 დეკემბერი — „დინამო“ (მოსკოვი) — ოდესა; 29 დეკემბერი —

უძველესი დროიდან სპორტის ხალხის საყვარელი გასართობი იყო. ამდროს ცნობილი იყო, რომ სპორტული თამაშებსა და თეატრს მხოლოდ მშვენიერად მომზადებულნი და ფიზიკურად ძლიერნი უნდა მონაწილეობდნენ. პირველი წიგნი სპორტზე დაბეჭდა 1511 წელს ბავარიის იმპერატორმა მაქსიმილიან I-მ. წიგნი საუკუნის შემდეგ იტალიაში გამოვიდა მეორე წიგნი, რომელიც ეკუთვნოდა თეოლოგის დოქტორს შილო დე სალოს. ატორმა აღწერა ჩოგბურთის მსგავსი თამაში. საერთოდ ჩოგბურთის წესების სამშობლო ინგლისია, სადაც იგი 1592 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად.

საინტერესოა, რომ ინგლისის მეფემ იაკობ პირველმა „სპორტის წიგნი“ გამოაქვეყნა წერილობითად თავის ქვეშევრდომებს კვირა დღის მეორე ნახევარში ფიზიკური ვარჯიშობის ნებას აძლევდა.

პირველი სპორტული რეპორაჟი გამოქვეყნდა 1736 წელს. შეგებოდა კრიკეტის თამაშს ამის შემდეგ ინგლისურ გაზეთ „ბილ ლაიფში“ შემოიღეს სპორტის კუთხე. მას მალე სხვა გაზეთებშიც მიზამეს.

პირველი სპორტული გაზეთი დააარსდა ლონდონში 1859 წელს მას ერქვა „სპორტინგ ლაიფი“.

„ტრული“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 30 დეკემბერი — „სკო ი მოლოტი“ (მოსკოვი) — ოდესა.

შენიშვნა: თამაშები ჩატარდეს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

რედაქტორი ი. შუშლაძე



„დინამო“ (თბილისი) „ბურევესტნიკი“ (თბილისი) მატჩი შედგება 3. ი. ლენინის სახელობის დარბაზში. დასაწყისი 19 ს.

ფუნბურთის ახალი ამბები

ესპანეთის კლუბები

ესპანეთის ჩემპიონატი ფუნბურთში ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს მადრიდის „რეალის“, „ატლეტიკოსა“ და ბარსელონის სპორტულ კლუბს შორის. ეს კლუბები არა მარტო უძლიერესნი, არამედ უმდიდრესნიც არიან ესპანეთში. „რეალმა“, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ არა მარტო დასტყუა „ბარსელონას“ ესპანური ჩემპიონატის აჩვენებელი დი სტეფანო, არამედ შეიძინა სხვა გამოჩენილი ფუნბურთელებიც: „რეალს“ არც „ატლეტიკო“ ჩამორჩა და ბრახილიაში იყიდა განთქმული ფორვარდი ვეა. ამჟამად „ატლეტიკო“ ცდლობს გადაიბაროს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველი. 23 წლის გერმანელი პორტს მიმინაიკი. საკითხი, თუ რა ფასად უნდა აქნას შექმნილი შიშნაიკი, გადაწყდება ორი კლუბის სპეციალურ წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ.

მადრიდის კლუბს არც „ბარსელონა“ ჩამორჩება. გაუფიქრა თუ არა უნგრელ ციბორს თავისი გუნდის უნებართვოდ დატოვებისათვის ფაფას შიერ მიცემული სასჯელის ვადა, იგი შამიფე აღმოჩნდა „ბარსელონაში“. მაგრამ „რეალთან“ შეხვედრაში ესპანური ფუნბურთის ეს „ახალი ვარსკვლავი“ იმდენად უნეშად თამაშობდა, რომ კვლავ დისკვალიფიცირებულ იქნა — ამჟამად უკვე ესპანეთის საფუნბურთო ფედერაციის მერ. მაშინ „ბარსელონას“ შემადგენლობაში თავი ამოჰყო სხვა უნგრელმა — კონიშმა. როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი“ აღნიშნავს, კონიშმა მალე ესპანეთში ნაკრებში შეე-

ვლის კუბალას, რომელიც თანდათან ჰკარგავს თავის საბრძოლო თვისებებს.

მატოლა იტალიაში

„ასეთი ფუნბურთელი ყოველ თამაშში გაიტანს ორ-სამ ბურთს“, აღტაცებით წამოიძახა პოპულარული იტალიური კლუბის „ფიორენტინას“ პატრონმა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრახილის გუნდის საწვრთნელ მატოლა 20 წლის მაცოლას თამაშს უყურა. დამთავრდა თუ არა „ეიულ რიმეს“ თასის გათამაშება, მაცოლამ იტალიაში ამოჰყო თავი. აქ მისი დასაკუთრებელი მსურველი აღმოჩნდნენ „ფიორენტინას“, „რომას“ და „მილანის“ მესვეურები. საბოლოოდ დაეა მხოლოდ იტალიის ჩემპიონატის წინადათი გადაწყდა და მაცოლამ (მისი ნამდვილი სახელი და გვარია ხოსე ალტაფინი) „მილანში“ დაიწყო თამაში. მაგრამ მაცოლამ ჭეშვარიტობით ვერ გაამართლა იტალიელ საქმისანთა იმედები. მუხუხედავად იმისა, რომ მისი პარტიორები არიან იტალიის ნაკრების წევრები გალი, დანოვა, სამხრეთამერიკელი კორიფეები სკაფინო (ურუგვაი) და გრილიო (არგენტინა). მაცოლას ვერ გააქვს გოლები. იტალიის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან თავდამსხმელთა სიაში მაცოლას ვერაჯერობით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია. ამ სიაში კვლავ პირველ ადგილზეა მილანის მეორე კლუბის „ინტერნაციონალს“ ცენტრალური თავდამსხმელი ა. ანჯელილო. 6 თამაშში მან უკვე გაიტანა 13 ბურთი.



ახალი გეგმის მხარეა კლუბი

„ნოკაუტი“. ნახ. კ. ერამისა.